ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

საქართველოს ლობისტური საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) 2008-2015 წწ.

ფინანსური მიმოხილვა

კვლევა განხორციელდა პროექტ **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა -** www.opendata.ge**"- ფარგლებში**

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოების ფონდები

*კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს"** და **ღია საზოგადოების ფონდების** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.*

აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი: თამარ იაკობიძე

ოქტომბერი, 2015
თბილისი

შესავალი

არავისთვის უცხო არ არის ის, რომ ლობისტური საქმიანობის მიზანია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა. საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). შესაბამისად, აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნიდან ასობით ათასი აშშ დოლარი ირიცხება.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დიდი ხნის მანძილზე აკვირდება აშშ-ში საქართველოს ლობისტურ საქმიანობას და გთავაზობთ ანალიტიკური სტატიების სერიას ამ თემაზე. აღნიშნული კვლევისთვის IDFI იყენებს შემდეგ წყაროებს: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, www.fara.gov-ზე არსებული მონაცემთა ბაზა და ასევე ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია Sunlight Foundation-ის პროექტ Influence Explorer-ის [1] ფარგლებში შექმნილი მონაცემთა ბაზა.

აღნიშნული კვლევისთვის პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში IDFI-მ 2014 წლის 18 ივლისს გაუგზავნა სამი წერილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და საქართველოს მთავრობის კანცელარიას. IDFI თითოეული დაწესებულებიდან ითხოვდა აშშ-ს ლობისტურ კომპანიებთან და ასევე სხვა უცხო ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებს 2008-2013 წლებისთვის.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან 2014 წლის 24 ივლისს მიღებული პასუხის[2] თანახმად, ლობისტურ საქმიანობებთან დაკავშირებით უცხო ქვეყნის კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ხოლო საჯარო სახით ხელმისაწვდომია მხოლოდ ის ხელშეკრულებები, რომლებიც განსაიდუმლოვდა ეროვნული უშიშროების საბჭოს 2010 წლის 1 ივლისის 8-გ/შ სხდომის ოქმის რეკომენდაციისა და უშიშროების საბჭოს მდივნის 2012 წლის 5 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, სულ 22 ხელშეკრულება. ამ პასუხშივე არის აღნიშნული, რომ ხელშეკრულებების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია აშშ იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.fara.gov.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, ქვემოთ მოცემულია ერთი და იგივე კონტრაქტის ორი ასლი. ერთ-ერთი ასლი, რომელიც IDFI-ის ეროვნული უშიშროების საბჭომ მიაწოდა, 2012 წლის ნოემბრამდე საიდუმლოდ იყო მიჩნეული საქართველოში. ამავე დროს იგივე კონტრაქტის ასლისა და ასევე სხვა დოკუმენტების მოძიება თავისუფლად შეიძლებოდა აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე[3].

[1] Foreign Influence Explorer, http://foreign.influenceexplorer.com/location-profile/311
[2] საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, http://opendata.ge/ka/request/49446
[3] The Foreign Agents Registration Act, http://www.fara.gov/docs/5437-Exhibit-AB-20100202-16.pdf

(Secret)

SERVICE AGREEMENT

This is an agreement between Orion Strategies LLC (hereinafter ORION), 918 Pennsylvania Avenue SE, Washington, D.C. 20003, and the National Security Council of Georgia (hereinafter NSC), Ingorokva St. 7, Tbilisi, 0134, Georgia.

Obligation of ORION

1. For the term of this contract, under the direction of the President of Georgia and National Security Council of Georgia, the, and/or their designee(s), Orion Strategies LLC will provide advice and consulting services concerning Georgia's full integration into Western institutions, including its candidacy for membership in the North Atlantic Treaty Organization (NATO).

2. Services pursuant to this agreement will include, but not be limited to, advice, guidance, and support for strategic communications, government relations, and public relations development and related activities in the United States and in Europe to assist Georgia's efforts to achieve their objectives.

3. Avoid any and all behavior which might damage the reputation of Georgia and its state agencies or which in any way might adversely affect the interests, reputation or assets of the National Security Council of Georgia.

4. As instructed by NSC perform or arrange Tasks related to scope envisaged by paragraphs 1 and 2 of this article.

5. Hold all necessary negotiations and manage all arrangements necessary for performing Tasks;

6. Inform NSC of circumstances which may constrain ORION from immediately launching, executing or completing Tasks; also to inform NSC of cases when the ORION fails to follow the Client's instructions.

7. Orion Strategies LLC will provide the representatives of NSC with regular quarterly progress reports concerning its efforts on Georgia's behalf.

Obligation of NSC

1. Provide materials necessary for the performance of Tasks to the ORION upon signing the agreement and, also to provide any information necessary for the immediate performance of Tasks;

2. Pay ORION for the performance or the arrangement of the execution of Tasks in

NATIONAL SECURITY COUNCIL OF GEORGIA
OFFICE OF THE SECRETARY

განსაიდუმლოდა
საქართველოს ეროვნული უშიშროების
საბჭოს მდივნის 2012 წლის 5 ნოემბრის
N 184 ბრძანებით, 2 ფურცელი

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და ლობისტურ კომპანია Orion Strategies-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც 2012 წლის 5 ნოემბრის შემდეგ განსაიდუმლოვდა.

SERVICE AGREEMENT

This is an agreement between Orion Strategies LLC (hereinafter ORION), 918 Pennsylvania Avenue SE, Washington, D.C. 20003, and the National Security Council of Georgia (hereinafter NSC), Ingorokva St. 7, Tbilisi, 0134, Georgia.

Obligation of ORION

1. For the term of this contract, under the direction of the President of Georgia and National Security Council of Georgia, the, and/or their designee(s), Orion Strategies LLC will provide advice and consulting services concerning Georgia's full integration into Western institutions, including its candidacy for membership in the North Atlantic Treaty Organization (NATO).

2. Services pursuant to this agreement will include, but not be limited to, advice, guidance, and support for strategic communications, government relations, and public relations development and related activities in the United States and in Europe to assist Georgia's efforts to achieve their objectives.

3. Avoid any and all behavior which might damage the reputation of Georgia and its state agencies or which in any way might adversely affect the interests, reputation or assets of the National Security Council of Georgia.

4. As instructed by NSC perform or arrange Tasks related to scope envisaged by paragraphs 1 and 2 of this article.

5. Hold all necessary negotiations and manage all arrangements necessary for performing Tasks;

6. Inform NSC of circumstances which may constrain ORION from immediately launching, executing or completing Tasks; also to inform NSC of cases when the ORION fails to follow the Client's instructions.

7. Orion Strategies LLC will provide the representatives of NSC with regular quarterly progress reports concerning its efforts on Georgia's behalf.

Obligation of NSC

1. Provide materials necessary for the performance of Tasks to the ORION upon signing the agreement and, also to provide any information necessary for the immediate performance of Tasks;

2. Pay ORION for the performance or the arrangement of the execution of Tasks in

2010 FEB -2 AM 11: 44
CRM/ISS/REGISTRATION UNIT

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და ლობისტურ კომპანია Orion Strategies-ს შორის გაფორმებული იგივე ხელშეკრულება, რომელიც საქართველოში განსაიდუმლოვებამდეც ხელმისაწვდომი იყო აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში www.fara.gov

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ IDFI 2014 წლის 18 ივლისს გაგზავნილი წერილით ითხოვდა 2008-2013 წლებში ლობისტურ კომპანიებთან საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებს, ინსტიტუტმა პასუხად [4] მიიღო მხოლოდ 2006 წელს გაფორმებული ორი ხელშეკრულება, რომლებიც განსაიდუმლოვდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის №27 განკარგულებით.

ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ [5] განაცხადა, რომ მათთან მოთხოვნილი ინფორმაცია დაცული არ არის.

[4] საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, http://opendata.ge/ka/request/49435
[5] საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, http://opendata.ge/ka/request/49431

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000012358275514

№2212

30 / ივლისი / 2014 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი მიმდინარე წლის 18 ივლისის NOPD07/14-007 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/3635; 18.07.14) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაცული არ არის.

პატივისცემით,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

ეკატერინე ჭითაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან 2014 წლის 30 ივლისს მიღებული პასუხი IDFI-ის წერილზე, რომლითაც ინსტიტუტი ითხოვდა საქართველოს მთავრობასა და უცხო ქვეყნების ლობისტურ კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლობისტური საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის პრაქტიკა საქართველოსა და აშშ-ში კარდინალურად განსხვავებულია. თუკი საქართველოში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, განსაიდუმლოების შემდეგ ხდება საჯაროდ

ხელმისაწვდომი, აშშ-ში 1938 წლიდან მოქმედი კანონმდებლობით (The Foreign Agents Registration Act, FARA) ყველა მონაცემი რაც უკავშირდება უცხო ქვეყნებიდან ამერიკაში მოქმედ ლობისტურ კომპანიებთან ურთიერთობის საკითხებს უნდა იყოს ხელმისაწვდომი და საჯარო. აღნიშნული აქტის მიხედვით ლობისტური კომპანიები ან პირები არა მხოლოდ არეგისტრირებენ საკუთარ კავშირებს სხვა ქვეყნებთან და ასაჯაროებენ დადებულ ხელშეკრულებებს, არამედ ყოველ ექვს თვეში ერთხელ ანახლებენ ინფორმაციას გაწეული მომსახურებისა და მიღებული საფასურის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული აქტის ფარგლებში აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.fara.gov განთავსებულია როგორც აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი 6-თვიანი ანგარიშები[6], ისე ლობისტური კომპანიების საქმიანობის დოკუმენტაციის მონაცემთა ბაზა[7].



Search Results on 08/20/2015 09:16:48AM Eastern
Click on the desired column heading to sort that column in ascending or descending order.

Results

Return to Search Screen

Click here for DOWNLOADABLE DATA spreadsheet

Display 200 Go

DOCUMENT	REGISTRATION NUMBER	REGISTRANT NAME	DOCUMENT TYPE	STAMPED/RECEIVED DATE
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	07/29/2009
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	01/22/2010
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	05/03/2010
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	09/09/2010
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	01/11/2011
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	01/12/2011
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	08/31/2011
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	09/23/2011
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	09/23/2011
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	12/21/2011
Click Here	5874	Gephardt Group Government Affairs, LLC	Amendment	03/02/2012

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული მონაცემთა ბაზა www.fara.gov რომელშიც გამოქვეყნებულია უცხო ქვეყნებიდან აშშ-ში მოქმედი ლობისტური კომპანიების კონტრაქტები, ფინანსური და საქმიანობის ანგარიშები.

კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშებიდან შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება, თუ რომელი ქვეყანა ან იურიდიული პირი რომელი კომპანიების საშუალებით ახორციელებს ლობისტურ საქმიანობას აშშ-ში. სწორედ ამ ანგარიშებიდან ირკვევა, რომ **საქართველო აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწევა 1991 წლიდან.** მაშინ ერთადერთი კონტრაქტი საქართველოს გაფორმებული ქონდა John Adams Associates-თან და აქტივობები მოიცავდა საქართველოს მთავრობისთვის კონსულტაციების გაწევას აშშ-ს კერძო და საჯარო სექტორებთან ურთიერთობის ფარგლებში, ასევე დახმარებას ვაჭრობის, ტურიზმის, მარკეტინგისა და სხვა სფეროებში[8]. გარდა ამ

[6]The Foreign Agents Registration Act, http://www.fara.gov/annualrpts.html
[7]The Foreign Agents Registration Act, http://www.fara.gov/search.html
[8]The Foreign Agents Registration Act, http://www.fara.gov/docs/4535-Exhibit-AB-19910701-D1UUED04.pdf

დახმარებისა, კომპანიამ საკუთარ ოფისში გახსნა საქართველოს საინფორმაციო ცენტრი[9]. **გაწეული მომსახურებისთვის საქართველოს მთავრობამ კომპანიას 1991 წლის დეკემბერში გადაუხადა 132,000 აშშ დოლარი.**

IV—FINANCIAL INFORMATION

14. (a) **RECEIPTS—MONIES**
During this 6 month reporting period, have you received from any foreign principal named in Items 8, 9 and 10 of this statement, or from any other source, for or in the interests of any such foreign principal, any contributions, income or money either as compensation or otherwise? Yes ☑ No ☐

If yes, set forth below in the required detail and separately for each foreign principal an account of such monies.[3]

Date	*From Whom*	*Purpose*	*Amount*
Dec. 1991	Republic of Georgia	U.S. representation	$132,000

საქართველო აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწევა 1991 წლიდან. 1991 წლის დეკემბერში აშშ-ში ლობისტური საქმიანობისთვის საქართველომ ლობისტურ კომპანიას 132,000 აშშ დოლარი გადაურიცხა.

[9]The Foreign Agents Registration Act, http://www.fara.gov/docs/4535-Supplemental-Statement-19920701-D1UGCE04.pdf

საქართველოს ლობისტური საქმიანობა აშშ-ში

არსებული ღია წყაროების საფუძველზე IDFI-ის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი საქართველოს (როგორც სახელმწიფო ისე ფიზიკური და იურიდიული პირების) ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2008 წლიდან დღემდე. ამ პერიოდში საქართველოდან სულ 9 დაწესებულება/პირი იღებდა აშშ-ში ლობისტური კომპანიების მომსახურებას.

1. საქართველოს მთავრობა
2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო
4. საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
7. ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება და თავისუფალი დემოკრატები
8. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
9. სალომე ზურაბიშვილის საინიციატივო ჯგუფი

აღნიშნული დაწესებულებებისა და პირების ინტერესების წარმოსაჩენად 2008-2015 წლებში დაქირავებული იყო სულ 19 სხვადასხვა ლობისტური კომპანია და მათი ქვეკონტრაქტორი. მათ შორის აგრეთვე ლობისტად დარეგისტრირებული იყო თედო ჯაფარიძე,[10] რომელიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ პარტიული სიით გახდა პარლამენტის წევრი.

[10] The Foreign Agents Registration Act, http://www.fara.gov/docs/6131-Registration-Statement-20120906-1.pdf

2008-2015 წლებში აშშ-ში ლობისტური საქმიანობისთვის დაქირავებული კომპანიები	
საქართველოს მთავრობა	Gephardt Group Government Affairs, LLC
საქართველოს მთავრობა	LynxDC, LLC
საქართველოს მთავრობა	Patton Boggs LLP
საქართველოს მთავრობა	Squire Patton Boggs
საქართველოს მთავრობა	The Harbour Group
აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება	Mark Saylor Company, LLC
სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება	Mark Saylor Company, LLC
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	Fianna Strategies LLC
ბიძინა ივანიშვილი	BGR Government Affairs, LLC
ბიძინა ივანიშვილი	Downey McGrath Group Inc.
ბიძინა ივანიშვილი	Japaridze, Tedo
ბიძინა ივანიშვილი	National Strategies, LLC
ბიძინა ივანიშვილი	Parry and Romani Assoc, Inc. dba Parry, Romani, DeConcini & Symm
ბიძინა ივანიშვილი	Patton Boggs LLP
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	HDMK, LLC
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	HDMK, LLC
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Daniel Louis Kunin
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Fianna Strategies LLC
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Gephardt Group Government Affairs
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Glover Park Group, LLC
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Maniatis, Gregory A.
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Orion Strategies LLC
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Podesta Group, Inc.
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Prime Policy Group
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	Public Strategies, Inc.
საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი	Fianna Strategies LLC
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ)	Fianna Strategies, LLC
სალომე ზურაბიშვილის საინიციატივო ჯგუფი	Glover Park Group LLC



როგორც აშშ-ს კონგრესისთვის წარდგენილი ანგარიშებიდან ირკვევა, **2008-2015 [11] წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე სულ დაიხარჯა 9,665,572.31 აშშ დოლარი, ხოლო სხვადასხვა კერძო პირებისა და პარტიების მიერ იმავე პერიოდში დაიხარჯა 5,270,490.09 აშშ დოლარი.**

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან აშკარაა, ჯამურად წლის მანძილზე ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა, 7.2 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა 2012 წელს. აღნიშნული მეტწილად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოში ამ პერიოდში საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება მიმდინარეობდა და სახელმწიფო უწყებებთან ერთად ლობისტური საქმიანობის დაფინანსებაზე ხარჯები გაწია ასევე **ბიძინა ივანიშვილმა და მისმა პოლიტიკურმა ჯგუფმა**.

ამ წლების განმავლობაში გამოიკვეთა სამი ყველაზე მსხვილი აქტორი, ვინც აშშ-ში ლობისტურ საქმიანობას ეწეოდა: **საქართველოს მთავრობა, ეროვნული უშიშროების საბჭო და ბიძინა**

[11] 2015 წლის მონაცემები არასრულია

ივანიშვილი[12], რომლებზეც ჯამურად მოდის 2008-2015 წლებში გადახდილი მთლიანი თანხის 98%, ანუ 14,7 მლნ აშშ დოლარი.

აღნიშნული სამი მსხვილი მოთამაშის მიერ წლების განმავლობაში აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები მოცემულია ქვევით გრაფიკზე:



როგორც ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან თვალნათლივ ჩანს, ერთი წლის მანძილზე ყველაზე მეტი თანხა 2008 წლიდან დღემდე გადახდილი აქვს ბიძინა ივანიშვილს. თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა ლობისტური საქმიანობა დაიწყო მხოლოდ 2011 წლის ბოლოდან (როდესაც პოლიტიკაში მოსვლა დააანონსა) და შეწყვიტა 2012 წელს. რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრების მიმართვას ლობისტურ საქმიანობაზე, მოცემული წლების განმავლობაში ჯამურად ყველაზე დიდი თანხა 6,6 მლნ აშშ დოლარი გადახდილი იქნა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ.

ზემოთ მოცემული სამი მსხვილი მოთამაშის გარდა, დარჩენილი 1,8 მლნ აშშ დოლარი ამ წლების განმავლობაში 6 მოთამაშეზე ნაწილდება (პრემიერ-მინისტრის აპარატი, პრეზიდენტის

[12]ბიძინა ივანიშვილის მიერ გადახდილი თანხებიდან ნაწილი რეგისტრირებულია მხოლოდ მის სახელზე, ნაწილი ბიძინა ივანიშვილსა და ქართულ ოცნებაზე ერთად, ხოლო მცირე ნაწილი ასევე - ბიძინა ივანიშვილსა და თავისუფალ დემოკრატებზე ერთად.

ადმინისტრაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სალომე ზურაბიშვილი).

პრემიერ-მინისტრის აპარატის, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და თავდაცვის სამინისტროს შემთხვევაში ლობისტური კომპანიების ძირითადი საქმიანობები მოიცავდა საქართველოს ოფიციალური პირების შეხვედრების ორგანიზებას, საქართველოს შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, აშშ-ს მედიასთან ურთიერთობას, საქართველოს თავდაცვითი და საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ დისკუსიების ორგანიზებას და ა.შ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემთხვევაში 2011-2012 წლებში ლობისტური კომპანიისთვის გადარიცხული თანხები ძირითადად მოხმარდა პროექტის "ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" („Teach and Learn with Georgia")[13] შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. პროექტი, რომელიც 2010 წელს დაიწყო, გულისხმობდა საქართველოში ინგლისური ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანას. ლობისტური კომპანიის დახმარებით განათლების სამინისტრომ პროექტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა როგორც აშშ-ს მედიას, ისე სენატორებსა და კონგრესმენებს. აღნიშნულ საქმიანობებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წელს გადაიხადა 20,000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წელს - 50,041.7 აშშ დოლარი, სულ - 70,041.70 აშშ დოლარი.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ლობისტური კომპანია ეხმარებოდა პარტიის მოსაზრებების, მიზნების, პოზიციებისა და პროგრამების აშშ-ს ისეთ აუდიტორიამდე მიწოდებაში, როგორიცაა კონგრესის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები ა.შ. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, 2014 წელს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ აშშ-ში განხორციელებულ ლობისტური საქმიანობაზე გაწია 42,000 აშშ დოლარის ხარჯი.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მისი ლობისტური საქმიანობა დაახლოებით 10 დღეს მოიცავდა 2013 წლის აგვისტოს ბოლოდან. სწორედ ამ პერიოდში სალომე ზურაბიშვილი აპირებდა საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა ორმაგი მოქალაქეობის გამო 2013 წლის სექტემბრის დასაწყისში ცესკო-მ მისი კანდიდატურის დარეგისტრირებაზე უარი განაცხადა და ამავდროულად შეწყდა მისი აშშ-ში ლობისტური საქმიანობაც. სალომე ზურაბიშვილმა ლობისტურ საქმიანობაზე 2013 წლის აგვისტოდან სექტემბრის დასაწყისამდე გაწია 6,000 აშშ დოლარის ხარჯი.

[13]ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად, http://www.tlg.gov.ge/content.php?id=93&lang=geo

FARA Registrant: 6123-National Strategies, LLC (NSI)
Supplemental Stm for Pd 08/07/12-02/28/13
Attachment D -- Question 14 (a) RECEIPTS

Date:	From Foreign Principal:	Payments Received:
08/02/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 125,000.00
08/13/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 51,650.84
08/16/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 126,922.00
09/07/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 60,000.00
09/07/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 16,489.93
09/07/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 9,050.70
09/14/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 492.15
09/14/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 55,000.00
09/14/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 100,000.00
09/14/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 33,326.10
09/14/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 120,071.00
10/19/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 95,000.00
11/01/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 105,000.00
11/09/12	Bidzina Ivanishvili/Georgian Dream	$ 12,915.47
		$ 910,918.19

ბიძინა ივანიშვილის ლობისტური საქმიანობა აშშ-ში მხოლოდ 2011-2012 წლებით შემოიფარგლება, თუმცა გადარიცხული თანხებით საქართველოში სამ ყველაზე მსხვილ მოთამაშეს შორისაა.

4. The Government of Georgia - Payments Received

07/14/2014	Government of Georgia	$90,021.00
08/15/2014	Government of Georgia	$90,264.65
10/06/2014	Government of Georgia	$90,745.95
10/22/2014	Government of Georgia	$124,595.15
10/27/2014	Government of Georgia	$7,204.85
11/12/2014	Government of Georgia	$93,954.58
12/03/2014	Government of Georgia	$96,163.43
12/26/2014	Government of Georgia	$122,329.71
12/31/2014	Government of Georgia	$110,000.00
	TOTAL	**$825,279.32**

საქართველოს მთავრობა 2008-2015 წლების მონაცემებით ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა აშშ-ში ლობისტური საქმიანობის კუთხით.

IV - FINANCIAL INFORMATION

14. (a) **RECEIPTS -MONIES**

During this 6 month reporting period, have you received from any foreign principal named in Items 7, 8, or 9 of this statement, or from any other source, for or in the interests of any such foreign principal, any contributions, income or money either as compensation or otherwise? Yes ☒ No ☐

If no, explain why.

If yes, set forth below in the required detail and separately for each foreign principal an account of such monies[6].

Date	From whom	Purpose	Amount
7/27/09	National Security Council of Georgia	Fee for services	€ 180,000.00 ($255,834.00)

ეროვნული უშიშროების საბჭოს 2008-2015 წლებში ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა, 6,4 მლნ აშშ დოლარი აქვს გადახდილი აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე. საინტერესოა, რომ ეს თანხა მთლიანად 2012 წლის არჩევნებამდე პერიოდს მოიცავს.



განსაკუთრებით საინტერესოა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხების შედარება 2012 არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. როგორც ხელმისაწვდომი მონაცემებიდან ირკვევა, საშუალოდ 2008-2012 წლებში აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე იხარჯებოდა წელიწადში 1,4 მლნ აშშ დოლარი, მაშინ როდესაც 2013-2015[14] წლებში საშუალო მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 800 ათას აშშ დოლარს. შესაბამისად, ამჟამად ხელთ არსებული მონაცემებით, **არჩევნების შემდეგ ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები საშუალოდ 1,5-ჯერ შემცირდა**.

[14] 2015 წლის მონაცემები არასრულია და შეიცავს მხოლოდ ამ დროისთვის არსებულ ფაქტობრივ გადარიცხვებს



ასევე საინტერესოა, რომ **ხელისუფლების შეცვლამდე ლობისტურ საქმიანობაში ჩართული იყო გაცილებით მეტი სახელმწიფო სტრუქტურა** - საქართველოს მთავრობის გარდა ლობისტურ კომპანიებს თანხებს ურიცხავდნენ ეროვნული უშიშროების საბჭო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრის აპარატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო. ხოლო არჩევნების შემდეგ, ლობისტურ საქმიანობაზე მხოლოდ საქართველოს მთავრობას აქვს გადარიცხული თანხები.

საინტერესოა, რომ როგორც www.fara.gov-ზე ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან ირკვევა, 2012 წელს იყო გაფორმებული კიდევ ორი ხელშეკრულება - საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის მიერ 320,000 აშშ დოლარის ოდენობით, და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 200,000 აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა, როგორც ბაზაშია მითითებული, ორივე კონტრაქტი მცირე ხანში გაუქმდა, და აღნიშნული თანხების შესახებ არც ანგარიშებშია ნახსენები რაიმე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს ერთ-ერთი ლობისტური კომპანიის, Gregory A. Maniatis-ის ქვეკონტრაქტორი კომპანია Fianna Strategies ახორციელებდა ლობისტურ საქმიანობას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდასაჭერად, რისთვისაც თანხები მიიღო Gregory A. Maniatis-გან. თუმცა, თავად Gregory A. Maniatis ფინანსდებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოდან.

როგორც FARA-ს მონაცემებით ირკვევა, აშშ-ში ლობისტური საქმიანობით სარგებლობდნენ ასევე სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობები. ხელშეკრულებების გაცნობის შედეგად ცხადი ხდება, რომ სეპარატისტული რეჟიმების ლობისტური კამპანიები მიმართული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგოდ. სულ 2009-2011 წლებში გაწეული ლობისტური მომსახურებისთვის აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას გადახდილი აქვს 430,000 აშშ დოლარი, ხოლო სამხრეთ ოსეთს იმავე პერიოდში - 457,850 აშშ დოლარი.

Mark Saylor Company, LLC
FARA Supplemental Statement
For the period April 1, 2010 - Sept 30, 2010
Attachments

Question 14(a)

Date	From Whom	Service	Amount
5/20/2010	Republic of South Ossetia	Payment for past due expenses	$ 27,850.00
5/20/2010	Republic of South Ossetia	Payment for Services	$ 35,000.00
5/20/2010	Republic of Abkhazia	Payment for Services	$ 35,000.00
6/30/2010	Republic of Abkhazia	Payment for Services	$ 25,000.00
7/1/2010	Republic of South Ossetia	Payment for Services	$ 25,000.00
8/6/2010	Republic of South Ossetia	Payment for Services	$ 25,000.00
8/9/2010	Republic of Abkhazia	Payment for Services	$ 25,000.00
9/17/2010	Republic of Abkhazia	Payment for Services	$ 50,000.00
9/22/2010	Republic of South Ossetia	Payment for Services	$ 50,000.00
		TOTAL	$ 297,850.00

საქართველოს სეპარატისტული მთავრობების ინტერესების დასაცავად აშშ-ში განხორციელებული საქმიანობები და გადახდილი თანხები, სავარაუდოდ, ასევე სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, თუმცა აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში www.fara.gov აღნიშნული დოკუმენტების მოძებნაცაა შესაძლებელი.

დასკვნა

როგორც ზემოთ მოცემული ანალიზი ცხადყოფს, აშშ-ში ლობისტურ საქმიანობაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასი ათასობით აშშ დოლარი ირიცხება, რის შესახებ ინფორმაციაც საქართველოში ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია. რასაკვირველია, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა დავის საგანს წარმოადგენდეს, თუ რამდენად საჯარო უნდა იყოს ქვეყნის ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები. თუმცა, აშშ-ს უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის მაგალითზე შეიძლება რამდენიმე არგუმენტის მოყვანა მეტი საჯაროობის სასარგებლოდ.

ათეულობით დოკუმენტის შესწავლის შედეგად თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომი დოკუმენტები (კონტრაქტები, გადარიცხული თანხების რეესტრი, განხორციელებული აქტივობების აღწერილობა) უმეტესწილად არ შეიცავს ისეთ სენსიტიურ ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებაც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს ზიანს მიაყენებდა. ინფორმაცია მოცემულია განზოგადებული სახით, მაგ. მითითებულია შეხვედრებში მონაწილე პირები და ზოგადი მიზნები, ან თემები, როგორიცაა „ურთიერთობა საქართველოსა და აშშ-ს შორის“ ან „საქართველოში მიმდინარე არჩევნები“, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული საკითხები და შედეგები. იშვიათ შემთხვევებში მოცემულია დაგზავნილი პრეს-რელიზების ან ოფიციალური წერილების ნიმუშები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს IDFI წერდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული 2012 წელს საზღვარგარეთის ქვედანაყოფებში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშების შესახებ[15]. აღნიშნულ ანგარიშებში **სხვა დარღვევებს შორის იყო აგრეთვე გაურკვეველი ლობისტების თანხის სახით 2006 წელს გადარიცხული 120 000 აშშ დოლარი**[16]. სწორედ მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებისთვის არის მნიშვნელოვანი მეტი პროაქტიული გამჭვირვალობა.

ამას გარდა, გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-ში ლობისტური საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია უკვე დიდი ხანია ხელმისაწვდომია ღია წყაროების სახით, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ ინფორმაციის დამალვა აზრს მოკლებულია. ამავე პოზიციას ამყარებს IDFI-ის მიერ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოდან მიღებული პასუხი, სადაც აღნიშნულია, რომ ის ინფორმაცია, რაც განსაიდუმლოებულია საქართველოში, ხელმისაწვდომია აშშ-ს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში www.fara.gov.

[15] საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგი, https://opendatablog.wordpress.com/2013/05/03/sagareo_saqmeta_saministros_shida_auditi2068/

[16] საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, http://goo.gl/HSeh4O